განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების[1] შესახებ

სსიპ ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ირინა დვალი
წევრ(ებ)ი:
გიორგი უღრელიძე

[1] **შენიშვნა:** ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან და შესაბამის ბრძანებაში განსაზღვრული შემოწმების ფარგლებიდან გამომდინარე, შესაძლოა დასკვნის ფორმის ყველა ველი არ შეივსოს ან დასკვნა დაიწეროს თხრობითი სახით.

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	239885095

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი სენაკი, რუსთაველის ქ. №68
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი სენაკი, რუსთაველის ქ. №68
საფოსტო ინდექსი	4100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Senaki7@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	(0413) 27 66 43 551 09 95 45

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 18 მარტის MES 4 26 0000330924 ბრძანება სსიპ-ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ *(ივსება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატების წარმოებაზე)*

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის დამატებაც სურს სკოლას.

V. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის შესახებ (ივსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ იმავე მუნიციპალიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო საქმიანობის მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

„ზოგადი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება სურს სკოლას.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 18 მარტის MES 4 26 0000330924 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის პირობების შესრულების მიზნით განხორციელდა გეგმური მონიტორინგი **სსიპ ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლაში** დოკუმენტების შესწავლით. აღნიშნული დაწესებულების მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულება შემოწმდა გეგმური მონიტორინგის გზით (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით). მონიტორინგის ფარგლებში გამოთხოვილი იქნა სტანდარტი №1-ის კომპონენტებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ფოტომასალა და სათანადო მტკიცებულებები.

მონიტორინგის ფარგლებში, შემოწმდა წინა ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი, შემოწმების შედეგები აისახა დასკვნის პროექტში.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
400	**311**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სსიპ ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლამ გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში გამოთქმული შენიშვნები და მათი გამოსწორების მიზნით არგუმენტირებულ პოზიციაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გამოაგზავნა სკოლის დირექტორის ბრძანება სსიპ ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლის 2026-2027 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, 2026-2027 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი და შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც, სკოლა აღნიშნულ პროექტზე მუშაობას დაასრულებს და მას სრულყოფილ სახეს მისცემს 2026 წლის 2 სექტემბრისთვის. ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორები №1.2.1.3 და №1.2.1.4 მეტწილად დაკმაყოფილებულია და გასცა **რეკომენდაცია:** სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2026 წლის 2 სექტემბრამდე, 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი შესაბამისობაში მოიყვანოს სტრატეგიულ გეგმასთან და მასში მკაფიოდ და ნათლად გაწეროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

X. ინფორმაცია კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის შესახებ (ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილების წარმოებაზე)

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

(ცხრილი ივსება მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის წარმოების დროს)

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[2]

სტანდარტი №1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი №1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლამ 2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 2 სექტემბრამდე, შესაბამისობაში მოიყვანოს სტრატეგიულ გეგმასთან (იხ. ინდიკატორის აღწერა).
ინდიკატორი №1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლამ 2026-2027 სასწავლო წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის პროექტში, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 2 სექტემბრამდე, მკაფიოდ განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. (იხ. ინდიკატორის აღწერა).

[2] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი №1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი №1.1.1.4	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	მიზანშეწონილია, სკოლამ გაითვალისწინოს სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილი განსახორციელებელი აქტივობების თანმიმდევრობა, რათა პროცესებს ჰქონდეთ ლოგიკური მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.
ინდიკატორი №1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). მის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	მიზანშეწონილია, სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული იყოს მხოლოდ სტრატეგიული მიზნები და მათი შესაბამისი ამოცანები და, ქვეამოცანების დეტალურად განსაზღვრის შემთხვევაში, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ამოცანა და ქვეამოცანა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

სტანდარტი №1		*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*	*რეკომენდაციების შესრულების სტატუსი*
ინდიკატორი №1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სკოლამ 30.11.2023 წ-მდე სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინოს ამოცანების შესრულებისთვის შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	*არ არის შესრულებული*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია:

დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, ხელი შეუწყოს მათ გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. შეძინოს თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, განუვითაროს კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ჩაუნერგოს ოჯახის, საზოგადოების სახელმწიფოს მიმართ პასუხისმგებლობა და პატივისცემა. მიღებული ცოდნით თავიანთ წვლილს შეიტანენ სახელმწიფოს განვითარების საქმეში.

სკოლის ხედვა:

სსიპ ქ. სენაკის №7 საჯარო სკოლის მიზანია გახდეს ძლიერი საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთთანამშრომლობაზე, პატივისცემაზე, სამართლიანობასა და ტოლერანტობის პრინციპებზე. სკოლა გააერთიანებს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და ზოგადსაკაცობრიო, ტრადიციულ ღირებულებებსა და თანამედროვეობას, ხელს შეუწყობს კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე პასუხისმგებლიანი მოქალაქის აღზრდას. მათ ექნებათ კომპეტენციები, რომელიც უზრუნველყოფს აქტიურ ჩართვას საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების საქმეში.

სკოლის ღირებულებები:

ა) პატივისცემა-ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის პატივისცემა, როგორც განათლების მნიშვნელოვანი საფუძველი.

ბ) პასუხისმგებლობა-სწავლისა და ქცევის მიმართ პასუხისმგებლობა.

გ) თანამშრომლობა-გუნდურობისა და ურთიერთდახმარების, კულტურის გაძლიერება სასკოლო საზოგადოებაში.

დ) ინოვაციურობა-თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გამოყენება სწავლისა და სწავლების პროცესში.

ე) სამართლიანობა-თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ყველა მოსწავლისათვის.

ვ) საზოგადოებრივი ჩართულობა-სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების აქტიური თანამშრომლობა საერთო მიზნების მისაღწევად.

ზ) უსაფრთხოება-სკოლაში არის შექმნილი გარემო, სადაც მოსწავლეები უსაფრთხოდ და დაცულად გრძნობენ თავს.

თ) ტოლერანტობა-განსხვავებული აზრის მოსმენა და მიმღბლობა.

ი)პროფესიონალიზმი და მუდმივი განვითარება-სკოლა ორიენტირებული არის მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს

სკოლის ხედვაში კარგად ჩანს, რომ სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი როლი, რომ მოსწავლეებისათვის გახდეს ძლიერი საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთთანამშრომლობაზე, პატივისცემაზე, სამართლიანობასა და ტოლერანტობის პრინციპებზე. სკოლა იღებს პასუხისმგებლობას განსაზღვროს საკუთარი როლი პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული და უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ, სკოლამ წარმოადგინა დირექტორის 2023 წლის 24 ნოემბრის №2-657 ბრძანება, რომელითაც დამტკიცებულია სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებასა და გაზიარებაზე სამუშაო ჯგუფი. მასში შედიან: დირექციის წარმომადგენელი, მასწავლებლები, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. სამუშაო ჯგუფმა წინასწარ შედგენილი კითხვარების მეშვეობით გამოკითხა მოსწავლეები, მშობლები და მასწავლებლები. სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტებზე სასკოლო საზოგადოების მუშაობის პროცესის ამსახველი ფოტომასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

კითხვარების საშუალებით მიღებული შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი, რომელიც სამუშაო ჯგუფმა გააცნო სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან და მოსწავლეებთან შეხვედრის ამსახველი ფოტომასალა, ასევე პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 7 სექტემბრის №5 ოქმსა და

სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 6 სექტემბრის №3 ოქმში ჩანს, რომ სკოლის მასწავლებლები და სამეურვეო საბჭოს წევრები გაეცნენ სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს და გაიზიარებს ის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: სკოლამ უნდა გაითვალისწინოს სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების მეთოდოლოგიაში გაწერილი განსახორციელებელი აქტივობების თანმიმდევრობა, რათა პროცესებს ჰქონდეთ ლოგიკური მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.

5. სკოლის მისია და ხედვა ყველასათვის საჯაროა და ხელმისაწვდომი. სკოლის მისია და ხედვა გაკრულია სკოლის შესასვლელ ფოიეში, ასევე ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება: სსიპ ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლა-შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ
- დირექტორის ბრძანება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებასა და გაზიარებაზე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
- სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი კითხვარები
- სასკოლო საზოგადოების მუშაობის პროცესის ამსახველი ფოტომასალა
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს

სკოლაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების დაგეგმარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში განსაზღვრულია სტრატეგიულ დაგეგვასთან დაკავშირებული პასუხისმგებელი პირი, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ქვეპროცესები, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული მხარეები, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, სამუშაო ჯგუფის ფორმირება და შემადგენლობა, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების პროცესის აღწერა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცების პროცესის აღწერა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება, მონიტორინგის მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

სკოლაში შემუშავებულია და სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 6 სექტემბრის №3 ოქმით დამტკიცებულია სსიპ-ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმა (2023-2030 წლები).

გეგმა მოიცავს მისიასთან თავსებად 3 სტრატეგიულ მიმართულებას:

1. სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობას.
2. სკოლის მომსახურების გაუმჯობესებას.
3. სკოლის ორგანიზაციული განვითარებას.

თითოეული სტრატეგიული მიმართულება აერთიანებს რამდენიმე სტრატეგიულ მიზანს, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად და ქვეამოცანებად, თითეული სტრატეგიული მიმართულება სრულდება მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

რჩევა: მიზანშეწონილია, სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული იყოს მხოლოდ სტრატეგიული მიზნები და მათი შესაბამისი ამოცანები და, ქვეამოცანების დეტალურად განსაზღვრის შემთხვევაში, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ამოცანა და ქვეამოცანა.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლამ გეგმიური მონიტორინგისთვის წარმოადგინა ერთწლიანი 2025-2026 სამოქმედო გეგმა, რომელიც არ ეფუძნებოდა სტრატეგიულ გეგმას. სტრატეგიული გეგმა მოიცავს 3 სტრატეგიულ მიმართულებას. თითეული სტრატეგიული მიმართულება თავის მხრივ იყოფა რამდენიმე სტრატეგიულ მიზნად, მიზნები კი - ერთმანეთისგან გაუმიჯნავ ამოცანებად და ქვეამოცანებად.

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში არ გვხვდებოდა შესაბამისი ამოცანები და მათი აქტივობები. გარდა ამისა, ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გვხვდება 4 თავი/მიმართულება, რომლებიც არაა თანხვედრაში სტრატეგიული გეგმის არც სტრატეგიულ მიმართულებებთან და არც სტრატეგიულ მიზნებთან.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება სსიპ ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლის 2026-2027 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, 2026-2027 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, ბრძანება სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფის შექმენის შესახებ და შესაბამისობის გეგმა.

2026-2027 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტში ასახულია სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრული 3 სტრატეგიული მიმართულება:

I. სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

II. სკოლის მომსახურების გაუმჯობესება.

III. სკოლის ორგანიზაციული განვითარება.

2026-2027 წლის გეგმის პროექტში ისევე როგორც სტრატეგიული გეგმაში I სტრატეგიული მიმართულება მოიცავს მოიცავს 3 სტრატეგიულ მიზანს:

1. სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება

2.სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება

3. სკოლაში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარება

7-წლიან გეგმაში პირველ სტრატეგიული მიზანს აქვს 11 ამოცანა/ქვეამოცანა:

1.1.1.მოსწავლეთა პროგრესზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების სისტემის დანერგვა;

1.1.2. სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე, ციფრული და მულტიმედიური ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება და სხვა თანამედროვე სასწავლო რესურსების განვითარება;

1.1.3. გამჭოლი კომპეტენციებისა (წიგნიერება, მედიაწიგნიერება, რაოდენობრივი აზროვნება, სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციები, ეკოლოგია და სხვა) და პრიორიტეტების (მეწარმეობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, და სხვა) განვითარების ხელშეწყობა;

1.1.4. სკოლაში არაფორმალური განათლების განვითარების უზრუნველყოფა და მოსწავლეების მიმართ მხარდამჭერი პოზიციის ხელშეწყობა.

1.1.5. მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობა;

1.1.6. თითოეული მოსწავლის განვითარების საჭიროებების გათვალისწინება.

1.1.7. მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესებისათვის საჭირო კონსულტაციითა და დახმარებით უზრუნველყოფა;

1.1.8. მოსწავლეების მიერ მათი ცოდნისა და უნარებიდან გამომდინარე წარმატებების მიღწევის ხელშეწყობა;

1.1.9. სკოლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებისა და მოსწავლეთა მიღწევების წახალისების ხელშეწყობა, მათთვის თვითრეალიზების საშუალების მიცემა.

1.1.10. სხვადასხვა საგნობრივი პროგრამების ასათვისებლად, სკოლაში არსებული ტექნიკური აღჭურვილობის, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის რაოდენობისა და ხარისხის, მოსწავლეთა საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის, ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად, მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

1.1.11. მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმაში განსაზღვრული პრიორიტეტების განხორციელების მექანიზმების შემუშავება.

2026-2027 წლის გეგმის პროექტშიც გაწერილია 11 აქტივობა, თუმცა ამ 11-დან სტრატეგიულის ამოცანებს ემთხვევა მხოლოდ 6, 2 აქტივობა განმეორებულია. რთულია, სტრატეგიულის დარჩენილ 5 ამოცანასთან 1-წლიანი გეგმის დანარჩენი აქტივობების დაკავშირება, რადგან ორივე გეგმაში ფორმულირებები ზოგადია.

იმის გათვალისწინებით, რომ სტრატეგიულ გეგმაში არ ჩანს ამოცანების/ქვეამოცანების განხორციელებს დრო/ვადები, ვერ დგინდება რამდენად გასათვალისწინებელია ისინი 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმაში.

მხოლოდ I სტრატეგიული მიმართულების 1 სტრატეგიული მიზანი, მისი ამოცანები და ქვეამოცანები რომ განვიხილოთ, სკოლის 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში არ არის სრულად სტრატეგიული გეგმის შესაბამისად შედგენილი.

არგუმენტირებულ პოზიციაში გამოგზანილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, სკოლა აღნიშნულ პროექტზე მუშაობას დაასრულებს და მას სრულყოფილ სახეს მისცემს 2026 წლის 2 სექტემბერს. ამდენად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და გასცა

რეკომენდაცია: სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადაში, 2026 წლის 2 სექტემბრამდე, 2026-2027 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი შესაბამისობაში მოიყვანოს სტრატეგიულ გეგმასთან.

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

2025-2026 ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ ჩანდა დასახული აქტივობა რომელი სტრაგეგიული მიზნის რომელი ამოცანის შესაბამისია. გეგმაში გაწერილია შემდეგი ცნებები: დასახული აქტივობა, დავალება (პრობლემის აღწერა), გადაჭრის გზა, პასუხისმგებელი პირი, განხორციელების ვადა, შესრულების ინდიკატორი, რესურსები. ინდიკატორი დაკმაყოფილებული არ არის. ამასთან, რესურსები ყველა გრაფაში მითითებული არ არის და მხოლოდ მატერიალური რესურსებია მითითებული, არსად ჩანს ადამიანური რესურსი, რომელიც შესაბამისი აქტივობის განსახორციელებლად აუცილებელია.

არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ წარმოადგინა 2026-2027 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელშიც გაწერილია მიზნები, ამოცანები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირი/პირები, განხორციელების ვადა, შესრულების ინდიკატორი, რესურსები. აღსანიშნავია, რომ განხორციელების ვადებად განსაზღვრულია 2024-2025 სასწავლი წლის შესაბამისი თვეები, რესურსები ყველა გრაფის გასწვრივ მითითებული არ არის, ამასთან, ფორმულირებაში - ,,არსებული რესურსი“-არ ჩანს რა რესურსი იგულისხმება მასში: ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და ა.შ.

ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში, 2026 წლის 2 სექტემბრამდე, 2026-2027 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში უნდა მკაფიოდ განსაზღვროს ტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმები სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცებაზე
- 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- 2026-2027 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტი
- სტრატეგიული განვითარების მეთოლოგიის დოკუმენტი
- სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო იწფორმაციის მოპოვებას სკოლის საქმიანობის შესახებ და ზრდის საზოგადოების წდობას. ასევე, ხელს უწყობს პასუხისმგებელი პირებისა და საზოგადოების დასახული მიზნების განხორციელებაზე ორიენტირებულობას. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორიგსა და შეფასებას ახორციელებს სამეურვეო საბჭო.

მონიტორინგისთვის სკოლაში გამოიყენება ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. ყოველი 2 წლის ბოლოს და 7 წლის შესრულებისთანავე სამეურვეო საბჭოს მიერ განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სსიპ ქალაქ სენაკის №7 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმის თანახმად, სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე და გაზიარებაზე სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე სამუშაო ჯგუფის გაერთიანებულზე შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, დეტალურად გადის სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. აქვე აღნიშნულია, რომ სამოქმედო გეგმის ანგარიში იწერება ნარატიული ფორმით.

აქვე აღვნიშნავთ, რომ სკოლამ მოგვაწოდა სსიპ ქ. სენაკის №7 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელშიც შეფასებულია გეგმით გაწერილი აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგები განთავსებული შესაბამის გვერდზე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

დირექტორის ანგარიშში ჩანს, რომ სკოლა მონიტორინგის შედეგებს გამოიყენებს ორგანიზაციის შემდგომი განვითარებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ
- დირექტორის ანგარიში ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების თაობაზე

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი: 6.05.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: